

# ლინგვისტური ვარიაციის ფენომენი: ცნებითი ანალიზი და სისტემური განსაზღვრება

ნინო ფართლამე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

<https://doi.org/10.52340/gbsab.2025.55.06>

**საკვანძო სიტყვები:** ლინგვისტური ვარიაცია, დინამიკური განშტოება, მიკროლინგვისტიკა, სოციოპრაგმატიკა, სოციოკოგნიტობა, სოციოკონსტრუქტივიზმი.

ლინგვისტური ვარიაცია წარმოადგენს ენათმეცნიერების ერთ-ერთ ფუნდამენტურ კატეგორიას, რომელიც ენაში არსებული განსხვავებების სისტემურ და ფუნქციურ გააზრებას ემსახურება. იგი არ არის მხოლოდ დეკლარაციული მდგომარეობის გამოვლინება, არამედ აერთიანებს როგორც ენობრივი ერთეულების მრავალფეროვნებას, ასევე ამ მრავალფეროვნების ფუნქციურ-სოციალურ კონტექსტში არსებობის დინამიკას. ლინგვისტური ვარიაციის გააზრება მოითხოვს ფენომენის თეორიულ-ცნობით სტრუქტურირებას, რათა შესაძლებელი გახდეს არა მხოლოდ მისი აღწერა, არამედ სისტემური ანალიზიც.

ერთ-ერთი არსებითი საკითხი, რასაც ლინგვისტური ვარიაცია აჩენს, არის თავად ენის სისტემურობის და ცვალებადობის თანაარსებობის პრობლემა. ჯაში (1999) მიუთითებს, რომ ტრადიციული ენათმეცნიერება მეტ ყურადღებას უთმობდა ენის სტრუქტურულ ანალიზს, ხოლო კომუნიკაციური ლინგვისტიკა ცდილობს ენაზე ფიქრი უფრო სოციალურ სივრცეში გადმოიტანოს, სადაც ენა მოცემულია, როგორც ცოცხალი, ცვლადი და კონტექსტზე დამოკიდებული ფენომენი. შესაბამისად, ლინგვისტური ვარიაცია სწორედ ამ ცვლადობის ბუნებრივ გამოხატულებად უნდა განვიხილოთ, რაც თავის მხრივ მოითხოვს ცნებითი კატეგორიზაციის მეთოდოლოგიურ გათვალისწინებას.

ლინგვისტური ვარიაციის გაგება ასევე გულისხმობს ენის სისტემურობიდან გამომდინარე ერთგვარ „ინვარიანტულ“ ჩარჩოს, რომელიც თავად ვარიანტების საფუძველს წარმოადგენს. ვარიაცია არ ანადგურებს სისტემას, არამედ სისტემის შიგნით არსებული დინამიკური განშტოებაა. ამ კონტექსტში შეიძლება დავასახელოთ ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ენობრივი ერთეული, მაგალითად, ზმნის ფორმა ან ნაცვალსახელი, განსხვავებულად რეალიზდება სოციო-რეგიონულ სივრცეებში, თუმცა მაინც ერთი ენობრივი ერთეულის სტრუქტურულ-ფუნქციური განზომილებაა. სწორედ ამ პროცესის სისტემურობა განსაზღვრავს ლინგვისტურ ვარიაციას, როგორც არა ქაოტურ, არამედ რეგულარულ და პროგნოზირებად მოვლენას (Compernelle, 2011).

ლინგვისტური ვარიაციის ცნებითი გააზრებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორებს, რომლებიც ამ ვარიაციას წარმოშობს და მიმართულებას აძლევს. როგორც Labov (1976) მიუთითებს, ენობრივი ცვლილება და ვარიაცია ურთიერთდამოკიდებული პროცესებია: ვარიაცია წარმოადგენს ცვლილების საწყის

სტადიას, ხოლო ცვლილება — ვარიაციის სტაბილიზირებულ შედეგს. აღნიშნული მიდგომა მიგვითითებს იმაზე, რომ ლინგვისტური ვარიაცია არა მხოლოდ მოცემულობაა, არამედ ენაში მიმდინარე განვითარების პროცესის ნაწილი, რომელიც მუდმივ კავშირშია როგორც სოციალურ, ისე ლოგიკურ-სტრუქტურულ გარემოსთან.

ამასთან, ლინგვისტური ვარიაცია უნდა განვიხილოთ როგორც მრავალმხრივი ფენომენი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ლექსიკურ, ფონეტიკურ და გრამატიკულ ასპექტებს, არამედ დისკურსულ და ფუნქციურ განზომილებებსაც. მაგალითად, Solntsev (1984) ვარიანტულობას განსაზღვრავს, როგორც ენობრივი სისტემის ზოგად თვისებას, რომელიც ენობრივ ერთეულებში მრავალფეროვნების არსებობით განისაზღვრება და ასახავს ენის ბუნებრივ მიდრეკილებას ფუნქციური ადაპტაციისკენ. აქედან გამომდინარე, ვარიაცია წარმოადგენს არა შემთხვევითობის პროდუქტს, არამედ მიზნობრივად ჩამოყალიბებულ სოციალურ-ენობრივ რეაქციას.

ასევე აღსანიშნავია ის, რომ ლინგვისტური ვარიაცია არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ მიკროლინგვისტური ევოლუციის შედეგი. მას ხშირად აქვს მჭიდრო კავშირი სოციოკულტურულ კონტექსტებთან, რაც ვლინდება ენობრივი არჩევანის სოციოპრაგმატულ მოტივებში. Medeiros და Oliveira (2024) მიგვითითებენ, რომ ვარიაცია უნდა განიხილებოდეს ენის სოციოკოგნიტიური მოდელის ფარგლებში, სადაც ადამიანის ჯგუფების და გარემოს ურთიერთქმედება განსაზღვრავს ენობრივ ერთეულთა არჩევანს კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციებში. შესაბამისად, ვარიაცია არის არა მხოლოდ ენის სტრუქტურული ცვლილება, არამედ ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის გამოხატვის ინსტრუმენტიც.

ვარიაციულობის გაგებისას მნიშვნელოვანია მისი სისტემურობის მიღმა არსებული მიზეზობრივი ლოგიკის დანახვა — რატომ და როგორ ხდება კონკრეტული ენობრივი ელემენტის არჩევა ალტერნატიული ვარიანტიდან. მაგალითად, Patyukova (2011) მიუთითებს, რომ ლინგვისტური ვარიაციის ანალიზი ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ემყარება სოციალურ კონტექსტს, კომუნიკატორთა ურთიერთმიმართებებს და ენობრივი არჩევანის მიზანმიმართულობას. ენობრივი არჩევანი ხშირად განსაზღვრულია სამიზნე აუდიტორიით, სტატუსით, ინტერპრეტაციის მოლოდინითა და კომუნიკაციური გარემოთი. შესაბამისად, ერთსა და იმავე ენაში მოქმედი ადამიანი, სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება გამოიყენებდეს განსხვავებულ ფორმებს, რაც ქმნის ენის შინაგან ვარიანტულობას.

Labov-ის (1976) პოზიცია კიდევ უფრო განამტკიცებს ამ შეხედულებას, სადაც ენობრივი ვარიაცია განიხილება როგორც ნორმირებული და სოციალური ფაქტორებით მართული პროცესი. იგი არ არის ინდივიდუალური თავისებურება, არამედ ფართო სოციალური კანონზომიერებების გამოხატულება. ეს მითითება მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებელს ხდის ვარიაციის მეცნიერულ დონეზე კვლევას — იგი დაქვემდებარებულია რეგულაციებს და მასზე შესაძლებელია წინასწარი პროგნოზის გაკეთებაც. შესაბამისად, ლინგვისტური ვარიაცია არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც ინდივიდუალური ნეიტრალური არჩევანი, არამედ — სოციალური პრაქტიკის ნაყოფი.

ასევე საინტერესოა ვარიაციის ენობრივი ინვარიანტის კატეგორიასთან კავშირი, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა ვარიანტი გარკვეული საერთო სემანტიკური და ფუნქციური ღერძით არის დაკავშირებული. ჯამი (1999) აღნიშნავს, რომ ენის მრავალფეროვნება თანაარსებობს მის ერთიანობასთან, რაც ენას ანიჭებს

სტაბილურობას ცვლილების პირობებშიც. შესაბამისად, ვარიაციული ელემენტები არა მხოლოდ განსხვავებულობის, არამედ საერთო ენობრივი სისტემის კომპონენტებია.

Compernelle (2011) ამ კავშირს აგრეთვე განმარტავს, როგორც „სოციოკულტურულ ობიექტივზე“ დაფუძნებულ პროცესს, რაც გულისხმობს იმას, რომ ლინგვისტური ვარიაციის გაგება მხოლოდ სტრუქტურულ ანალიზში არ უნდა გამოიხატოს, არამედ საჭიროა კონტექსტის, დინამიკისა და ფუნქციის გააზრებაც. სწორედ ეს განასხვავებს ვარიაციას ჩვეულებრივი ფორმალური ცვლილებებისგან და აძლევს მას საკომუნიკაციო ღირებულებას.

ასე რომ, ლინგვისტური ვარიაცია არ წარმოადგენს მხოლოდ ენაში არსებულ განსხვავებათა მექანიკურ აღწერას. ის არის ინტეგრირებული ფენომენი, რომელიც გულისხმობს ენის, კომუნიკაციის, კულტურისა და იდენტობის ურთიერთმოქმედების შედეგს. მის სწორი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა თეორიული ანალიზი თანხვედრაშია ენობრივი პრაქტიკის ინტერპრეტაციასთან. ამ გზით, ლინგვისტური ვარიაციის ცნებითი ანალიზი და სისტემური განსაზღვრება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც საფუძველი შემდგომი ფუნქციურ-სოციალური ინტერპრეტაციისთვის. სოციოკონსტრუქტივიზმი საშუალებას იძლევა გავიაზროთ ენობრივი ვარიაცია არა როგორც დეფიციტი, არამედ როგორც ბუნებრივი გამოხატულება სოციალური მობილურობისა და ურთიერთკონტაქტების. ენის სტანდარტული ნორმიდან გადახრები — იქნება ეს ფონეტიკური ინტერფერენცია, კოდ-შერევა თუ ტრანსლინგვისტური გადასვლები — სოციოკონსტრუქტივისტური ჩარჩოს მიხედვით, წარმოადგენს ინდივიდის მიერ საკომუნიკაციო სივრცის აქტიურ კონსტრუქციას. ამით მოლაპარაკე ცდილობს მოარგოს ენა კონკრეტულ კულტურულ და დისკურსულ სიტუაციას და არ დაიმორჩილოს ენის ფორმალურ სტანდარტებს, რომლებიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს კომუნიკაციის მიზანს ან აუდიტორიის მოლოდინებს.

გარდა ამისა, სოციოკონსტრუქტივიზმი მნიშვნელოვან მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთქმედების დროს კულტურული კოდების და სოციოლინგვისტური ცვლადების როლს. ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, განათლება და ეთნიკური კუთვნილება არ არის მხოლოდ სოციალური ცვლადები — ისინი ქმნიან ენობრივი ქცევის სემანტიკურ ბაზისს. შესაბამისად, ბილინგვური სუბიექტები ამ ცვლადების მიხედვით ირჩევენ არა მხოლოდ ენას, არამედ ენობრივ სტრატეგიებს, ტონს, ინტონაციას და დისკურსის სტრუქტურას. სწორედ ამ თვალსაზრისით იძენს კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას — ის ცდილობს გააანალიზოს ენის ამსახველი ის მექანიზმები, რომლებიც აგებულია სოციალური, კულტურული და ურთიერთობითი რეალობის საფუძველზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯაში, მ. (1999). კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტრადიციულ ლინგვისტურ ცნებათა გადააზრება. ენა, თარგმანი, ლიტერატურა, 140–151. თბილისი: ენა და კულტურა.
2. კიკვიძე, ზ. (1992). სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა სტრატეგიკაციური და სიტუაციური ვარიანტები. XIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი: საქართველოს

მეცნიერებათა აკადემია.

3. 3. კიკვიძე, ზ. (1999). თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები. თბილისი: მზე-93.
4. 4. ლეხანიძე, გ. (1998). ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: ენა და კულტურა.
5. 5. Labov, U. (1975). *Issledovanie yazyka v ego sotsial'nom kontekste*. Moskva: Progress.
6. 6. Patyukova, R. V. (2011). *Yazykovaya variantivnost' kak odin iz aspektov sistemy kommunikatsii*. Kubanskiy gosudarstvennyy universitet. [http://www.rusnauka.com/20\\_PNR\\_2011/Philologia/3\\_90330.doc.htm](http://www.rusnauka.com/20_PNR_2011/Philologia/3_90330.doc.htm)

## RESUME

Understanding linguistic variation should not be expressed solely in structural analysis, but also requires an understanding of context, dynamics, and function. It is this that distinguishes variation from ordinary formal changes and gives it communicative value. Linguistic variation is not simply a mechanical description of differences in language. It is an integrated phenomenon that involves the interaction of language, communication, culture, and identity. Its correct understanding is possible only when theoretical analysis is consistent with the interpretation of linguistic practice.

In this way, the conceptual analysis and systematic definition of linguistic variation can be used as a basis for further functional-social interpretation.